

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

2017

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

საგანმანთლებლო და პროფესიულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ

20 ივლისი 2017 წ.

თბილისი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, წარმომადგენლის, თავმჯდომარის მარიკა გოგოლაძის სახით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, წარმომადგენლის, რექტორის მოადგილე მაკა კაჭარავას სახით (შემდგომში - მხარეები), აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გაანალიზებასა და განზოგადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. იურიდიული განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით მხარეები, თავისი კომპეტენციისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს.

მუხლი 2.

მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის მიზანია:

ა) სტუდენტების დახმარება ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებასა და თვითრეალიზებაში;

ბ) სტუდენტების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება მემორანდუმით დადგენილ ფარგლებში;

გ) გამოცდილების გაზიარება;

დ) პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ე) სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასა და სანოტარო ბიუროებში, უფასო სასწავლო პრაქტიკის გავლის ხელშეწყობა.

მუხლი 3.

1.აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად მხარეები ითანამშრომლებენ განათლების სფეროში, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) საქართველოსა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ნოტარიატის შესახებ;
ბ) სანოტარო მომსახურებაში დანერგილი სიახლეები და ნოვაციები;
გ) ნოტარიატის სფეროში სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებები და სიახლეები;
დ) მოქალაქეებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები;
ე) სტუდენტებისთვის საინტერესო სხვა საკითხები, რაც უკავშირდება სანოტარო საქმიანობას

2.საქართველოს ნოტარიუსთა პალატა:
- საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს კონკრეტულ პირს საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, რომელიც უზრუნველყოფს მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების განხორციელებისას ორგანიზაციული კუთხით კოორდონირებას უნივერსიტეთან;
- სანოტარო პრაქტიკის გაცნობის ფარლებში თანამშრომლობისას უზრუნველყოფს მისი მაქსიმალურად ნაყოფიერად წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის:
- უნივერსიტეტთან ერთად გეგმავს სხვა აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

3. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი:
- მიავლენს სტუდენტებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში/სანოტარო ბიუროში პრაქტიკის ან/და სალექციო კურსის გასავლელად, მხოლოდ მაღალი დასწრებისა და შედეგების მქონე მაქსიმუმ 5 (ხუთი) სტუდენტს სასწავლო წლის განმავლობაში;
- მიავლენს პრაქტიკაზე 3 (სამი) თვის ვადით;
- თანამშრომლობს საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან პრაქტიკის/სტაჟირების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 4.
მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:
ა) სემინარების, ლექციების ჩატარება;
ბ) შეხვედრების მოწყობა;
გ) პრაქტიკული სწავლება სანოტარო ბიუროებში.

მუხლი 5.

მემორანდუმის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 6.
წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 7.
მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 8.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 9.

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად

მემორანდუმს ხელს აწერენ:

მაკა კაჭარავა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე _____	მარიკა გოგოლაძე სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ გამგეობის თავმჯდომარე _____